საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

თემურ გოგოხია

ბიულეტენი

კენჭისყრა - 12.11.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს თამარ ოქროპირიძე?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თემურ გოგობია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის თამარ ოქროპირიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის 1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო თამარ ოქროპირიძემ.

2021 წლის 12 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ კენჭისყრის შედეგად, 2020 წლის 7 ოქტომბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესის საბჭოს 1/134 განკარგულების საფუძველზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევი კონკურსის ფარგლებში საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი 9 კანდიდატიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანამდებობაზე არჩეულ იქნა 6 კანდიდატი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატის/კანდიდატების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე აურჩევლობის შემთხვევაში, კანდიდატებად რეგისტრირებულ პირთა სიაში მითითებული კანდიდატებიდან, ამავე მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით შეირჩევა იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არსებობს და ის/ისინი ამავე მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით წარედგინება საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე კანდიდატების გადასვლის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 4 ნოემბრის N1/182 განკარგულების თანახმად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12 და მე-15 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი, მათ შორის თამარ ოქროპირიძე.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. რის გამოც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე თამარ ოქროპირიძის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

თემურ გოგოხია

12.11.2021